№ 216
ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მ.ნ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 216
ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ელისაბედ გრიგოლის ასული სულხანოვისა, აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ თვისის მეუღლის

ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვის

გარდაცვალებასა, სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად კვირას, 8 ოქტომბერს. მიცვალებულს საკუთარის სახლიდგან (ავჭალის ქუჩა, 40) ავლაბრის კარნი-ავეტრანის ეკკლესიაში გაასვენებენ დილით. (3—200—1)

ქვრივი ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვისა ელისაბედ გ იგოლის ასული სულხანოვისა ამით აცხადებს, რომ ვისაც-კი დღემდის მისის ქმრის, ავეტიქ სულხანის ძის, რწმუნების ქაღალდები (довѣренность) ჰქონდათ, ამიერიდგან გაუქმებულია. (4—200—1)

ქართველ ქალთა
სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად. იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისთვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფუზობითა და ნაჭრობით. (50—6.—31)

მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არჟანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

ახალი სასადილო

„ქუთაისი“

გაიხსნა ტფილისში სოლომონოვის ქუჩაზედ, (უწინდელი ტალახის ქუჩა), № 4 ცურინოვის პასსაჟის გვერდზედ.

მზადდება სუფთად ყოველგვარი ევროპიული და იმერული საჭმელები (ხარჩო, ლომი, საცივი, სულგუნი და სხვა) და იყიდება იაფად. ვინც თვიურად დაიკვეთს, იმას ნაკლებ ფასად დაეთმობა.

სასტუმროს პატრონი ძ. დანელია (3—199—1)

ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს,

თავად-აზნაურთა თეატრში დაიწყებს წარმოდგენების გამართვას დრამატიული დასი პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების არტისტის

მ. ვ. დალსკისა

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრომიშევისა, (10—188—7)

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 3 ოქტომბერს, კრება ჰქონდათ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ საპატიო წევრის ბ ნ ვ. ნ. გეევსკის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა მომავალ 1901 წლის საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისათვის საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამმა, რომელიც საზოგადოების დადგენილებით წარედგინება 15 ამა ოქტომბრისათვის დანიშნულ პროგრამის შესამუშავებლად ამიერ-კავკასიის სხვა-და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებას. პროგრამმა ამ სხდომაზედ განხილვის შემდეგ და წესი გამოფენისა წარედგინება საზოგადოების პრეზიდენტს, კავკასიის მთავარ მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს და შემდეგ გაიგზავნება სამინისტროში დასამტკიცებლად.

## ფელეტონი

### „სამის ელემენტის“ დაპირდაპირება

*Audiatur et „tertia“ pars*

კაი ხანია, რაც ამ „სამის ელემენტის“ დაპირდაპირების გამო დავა არსებობს ბ ნ ვ. წ.-ს ერთის მხრივ და ბ-ნთ ალ. წ. და ნ. ჟორდანიას შორის მეორე მხრივ. საგანი ძლიერ საინტერესოა, რასაკვირველია, იმათთვის, ვისაც ეინტერესება, მაგრამ ის მოინტერესე კი, ვისაც ამ საგანზედ ბაასი ჰსურს, ვისაც უნდა გამოარკვიოს ეს საგანი, სწორედ საშინელ გაჭირებაშია ჩაყენებული: ორი გაზეთი გვაქვს მხოლოდ, „ივერია“ და „კვალი“. ერთში გამოსთქვამთ თქვენს აზრს, მეორე გიკიჟინებს. მეც, ამ სტრიქონების დამწერმა, ვსცადე ერთხელ ამომეღო ხმა ამ საკამათო საგანზედ და ერთი წერილი გავგზავნე „კვალში“, მაგრამ მას დაბეჭდვა არ ეღირსა და არც ეღირსება მგონია. ახლა „ივერიაში“ ვცდი...

როგორც უკვე მკითხველმა იცის, ზემოხსენებულთა საკამათო საგანს „სამი ელემენტი“: მიწა, შრომა და კაპიტალი შეადგენს, მათი ერთმანეთთან დაპირდაპირების შესაძლებლობა და შეუძლებლობა. რა არის ცნება დაპირდაპირება?—მონახვა მსგავსების, ან განსხვავების. მაგრამ როგორის საგნების დაპირდაპირება შეიძლება ერთი-ერთმანეთთან?—მხოლოდ იმნაირ საგნებისა, რომელთაც ერთი და იგივე საზომი ერთეული აქვთ. თქვენ შეგიძლიანთ იხელმძღვანელოთ ამ საზომ ერთეულით, ამ საერთო სუბსტანციით, რომელიც ერთი და მეორე საგნისაც საერთო თვისებას შეადგენს, როდესაც ამ საგნებს უპირდაპირებთ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია დაპირდაპირება. ეს უბრალო მათემატიკური ჭეშმარიტება. მარქსი, როდესაც ის ღირებულებას უშვრებოდა ანალიზს, ხელმძღვანელობდა სწორედ ამ საერთო საზომ ერთეულით, რომლითაც განიზომება ღირებულება საქონლისა—შრომით.

ავიღოთ ჯერ „მიწა და კაპიტალი“. როგორ უნდა შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი საგანი? ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, რა და რა გარემოებაში უნდა ჩავაყენოთ ეს ორი საგანი, რომ მათი დაპირდაპირება შეიძლებოდეს, რომ შეიძლებოდეს ამ ორის საგნის გამზომი საერთო საზომის მონახვა. მიწა, გავიმეორებთ თვით მარქსის სიტყვებს, თავის თავად (კურსივი), არა ორგანიული ბუნებაა, მას არც ღირებულება აქვს (თუმცა შეუძლიან მიიღოს ღირებულება) და არც სოციალური ცნებაა. კაპიტალი თავისდა თავად არის საწარმოო საშუალებანი, რომლებიც „ისტორიულად“ იღებენ მხოლოდ „კაპიტალის“ ფორმას, ღირებულება, თვით-მოზარდი ღირებულება. როდესაც ჩვენ ვამბობთ „კაპიტალი“, ყოველთვის ამ ცნებასთან ვაკავშირებთ ცნებებს: „ღირებულება“, „თვით-მოზარდი ღირებულება“. მაშასადამე, თავისდათავად ამ ორ ცნებას არ აქვს ერთი და იგივე საერთო საზომი ერთეული: მიწას, უღირებულებს საგანს, და კაპიტალს, ღირებულებას, თვით-მოზარდ-ღირებულებას. ყოვლად შეუძლებელია დავუპირდაპიროთ, გავზომოთ ერთისა და იმავე საზომით სახმარი ღირებულება, რომელსაც წარმოადგენს თავისდათავად მიწა, და სავალი ღირებულება, საზოგადოდ ღირებულება, თვით-მოზარდი ღირებულება, რომელსაც წარმოადგენს კაპიტალი.

ავიღოთ შემდეგ მიწა და კაპიტალი, როგორც სოციალური მოვლენანი. მიწა ყოფილა, არის და იქმნება. მიწას არა ჰქონია საზოგადოებრივი ფორმა, მას ჰქონია ბევრ ეპოქაში განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები, და ეხლა აქვს კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმა. მიწა, როგორც სოციალური მოვლენა, ვერ დაახასიათებს ვერც ფეოდალიზმს, ვერც კაპიტალიზმს და ვერც მომავალ კოლლექტივიზმს. ამ ეპოქებს დაახასიათებს მხოლოდ მიწის მფლობელობის სხვა-და სხვა ფორმები, რომლებიც საწარმოო იარაღთა განვითარების განსაზღვრულ ხალხისაგან არიან დამოკიდებულნი. კაპიტალი, მეორეს მხრივ, როგორც სოციალური მოვლენა, არა ყოფილა, არის და არ იქმნება. კაპიტალი განსაზღვრული ისტორიულ-საზოგადოებრივი მოვლენაა, რომლის დამახასიათებელი თვისება, თვისება, რომელიც განასხვავებს სხვა ეპოქებისაგან, არის სულ სხვა, არა მიწისაგან დამოკიდებული, არა იმისთანა რამე, რომ სხვა ეკონომიურის ფორმაციების დამახასიათებელი თვისებაც ყოფილიყოს,—არამედ მისი სპეციფიკური ხასიათი, პირობა, ურომლისოდაც კაპიტალიზმი არ არსებობს. ეს მისი თვისება არის—გაყოფა საწარმოო იარაღთა, საწარმოო საშუალებათა უშუამდგომლო მწარმოებლისგან, ორი მოწინააღმდეგე ელე-

მავალ გამოფენის საქმეებს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებულ წესით უნდა განაგებდეს განსაკუთრებული გამგე კომიტეტი. კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ იქმნება კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი და თავმჯდომარედ საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგანათ. თავ. პ. გრუზინსკი. თავჯდომარის ამხანაგს ამოირჩევენ გამგე კომიტეტის წევრთა შორის. ამ კომიტეტის საპატიო წევრებად იქმნებიან დანიშნულნი 14 კაცი შემდეგ დაწესებულებათაგან: თვით საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან, კავკასიის მთავარ-მართებლისაგან, რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებისაგან, სამოსწავლო უწყებისაგან, ხაზინის მიწისძლო უწყებისაგან, მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა კავკასიის რწმუნებულისაგან, ტფილისის ქალაქის თვით მმართველობისაგან, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, ნავთის მწარმოებელთა კრებისაგან, ტფილისის სავაჭრო - სამრეწველო კომიტეტისაგან და სამთო სამმართველოსაგან. ამ კრებაზედ საზოგადოებამ გარდასწვიტა გადასდოს 800 მანეთი საზოგადოების 50 წლის მოქმედების ისტორიულ-მიმოხილვის შესადგენად, რომლის შედგენაც დაევალა საზოგადოების მდივანს ბ-ნ ი. ო. იოსელიანს. ეს ისტორიული მიმოხილვა დაიბეჭდება სამეურნეო საზოგადოების რედაქციით.

*** დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრთა კრება, რომელზედაც განიხილვენ შემდეგ საქმეებს: 1) ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის და პროფესიონალურ სახელოსნოს 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვას, 2) „ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების“ ორის სახალხო უფასო სამკითხველოსა და ვერის საკვირაო სკოლის გამგის ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილ წერეთლის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამ სამკითხველოებსა და სკოლას ფულით დახმარება აღმოუჩინოს, 3) ამგვარსავე შუამდგომლობას ავჭალის სახალხო წარმოდგენათა და კითხვების გამმართველ საზოგადოების და 4) სახალხო სკოლების ინსპექტორის მოწერილობას ავლაბარში უფასო სკოლის გამართვის შესახებ, სადაც სწავლა სადამოთი იქმნება.

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას მიუმართავს ყველა მაზრის უფროსებისა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებისათვის აცნობონ მეაბრეშუმეთ, რომ კავკასიის მეაბრეშუმეთა კრება ტფილისში ნოემბრის დამლევს მოხდება. როგორც კრებისათვის დღემდის მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, კრება დიდად საყურადღებო იქნება.

*** კანონით (სამოქალაქო კანონდებლ. მე-XI ტ. მე-3435 მუხ.) ქალაქის საზოგადოებათ უფლება აქვთ მათის ხარჯით დაარსებულს სკოლებში მასწავლებლის თანამდებობაზედ კანდიდატები თითონ ამოირჩიონ ხოლმე. მაგრამ ქალაქის საბჭოს სამასწავლებლო კომისსია ამ კანონიერს უფლებას არა კმარობს თურმე და ირჩევს სადმრთო სჯულის მასწავლებლებს, ჰნიშნავს გაკვეთილების რაოდენობას, სურვილისამებრ შემდეგ ერთსართმევს გაკვეთილებს, მეორეს უმატებს და სხ. რადგანაც აღნიშნულს კომისიას კანონით ამის ნება არა ჰქონია, ქალაქის სასწავლებელთა ინსპექტორი სთხოვს ქალაქის მოურავს აცნობოს, რომელი კანონის ძალითა და მთავრობის განმარტებით ხელ-მძღვანელობს კომისსია სადმრთო სჯულის მასწავლებლების არჩევისა და გაკვეთილების რაოდენობის დანიშვნის დროს.

*** ამ თვის ორიდგან ტფილისის ტრამვაის ვაგონები საზამთრო წესით დადიან.

*** როგორც ხევსურეთიდგან და ქისტების სოფლებიდგან იუწყებიან, პურის მოსავლისათვის თოვლს მოუსწრია და მცხოვრებნი სრულიად ცარიელზედ დაუსხამს. ზარალი ჯერ გამოანგარიშებული არ არისო.

*** სოფ. მუკუზანიდგან ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება ველისციხეში თურმე გადააქვთ.

*** სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიცია ამ ჟამად ახალს 7 კაპეიკიანსა და 14 კაპეიკიანს მარკებს თურმე ამზადებს, რომელთა ხმარებასაც მომავალი წლის იანვრიდგან უთუოდ დაიწყებენ.

*** ტფილისის დედათა I და II გიმნაზიებში ამ ჟამად ქალაქის 16 სტიპენდიაა თურმე თავისუფალი. ამ ადგილებზედ მისაღებად კენჭის-ყრა 6 ოქტომბრისათვის არის დანიშნული.

*** როგორც თიანეთიდგან იუწყებიან, სამხედრო ბეგრის მოსახდელად კენჭის ამოღება 1-ლ ოქტომბრიდგან დაწყებულა. მთელი მაზრიდგან ამ წელს 300 კაცი უნდა გაიყვანონ ჯარში.

*** როგორც დუშეთიდგან გვაუწყებენ, 1900—1904 წლისათვის ქალაქის რწმუნებულებადა და მათ კანდიდატებად 25 სექტემბერს ამოურჩევიათ: ს. ზანდუკელი, ი. ალავერდოვი, მ. ტერტეროვი. მ. დაფქვიაშვილი, გ. კორინთელი, ა. გრიგოლაშვილი, ი. აბაზოვი, ვ. თუჯიევი, ა. შადინოვი, ზ. თაბურიძე, გ. აფრ-ამოვი და ა. მარტიროზოვი; ამათ კანდიდატებად ამოურჩევიათ: ე. ყარანგოზიშვილი, ტ. გოგიევი, ნ. ბარათაშვილი, ი. როინაშვილი და ი. ემკოვი.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან კავკასიაში გადმოსახლების საქმის დასაჩქარებლად დააარსოს დიდი პარტია გამზიჯვნელთა და ტოპოგრაფთა, რომელნიც მომავალ წლიდგან შეუდგებიან მუშაობასა და 5 წლის განმავლობაში უთუოდ უნდა დაასრულონ.

*** „ნოვოე ობოზრენიე“-ს სწერენ ქუთაისიდგან, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგის კანდიდატებად, ბ-ნ ალექსი ჭიჭინაძის მაგიერ, რომელმაც კანდიდატობაზედ უარი განაცხადა, ბ-ნთ პ. გოთუასა და იოსებ ოცხელს ასახელებენო.

*** კვირას, 8 ოქტომბერს, სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა აუდიტორიაში ავჭალის ქუჩაზედ ქართული წარმოდგენა იქმნება გამართული.

*** ახალქალაქიდგანა სწერენ გაზ. „ტფ. ფურ.“-ს: „ცნობილს გავარდნილს ყაჩაღს დელი-უსუფსა და მისს ექვსს ამხანაგს, რომელთაც ყარსის საპოლიციო დარაჯი სდევნიდა, უცბად ახალქალაქის მაზრისა და ალბინის საზღვარზედ მიატანეს. ყაჩაღებმა რომ ნახეს, აღარა გაეწყობოდა-რა და მახეში გაებმებოდნენ, სიმაგრეთ იქვე ნაშენი ყაჩაღების სადარაჯო ამოირჩიეს და მდევარს დარაჯებს აქედგან დაუწყეს სროლა. დარაჯებიც, რიცხვით ოც-და-ათი კაცი, მაშინვე სადარაჯოს შემოერტყნენ და ღამის 12 საათამდე სროლა ჰქონდათ და ჩასაფრებულთ არსად უშვებდნენ. ამ დროს ბოგდანოვსკის პოლიციის ბოქაული თავ. ფალავაც მოვიდა ხუთის დარაჯით. ფალავას სროლა არ შეუწყვეტნია, ისე მიიტანა ყაჩაღებზე იერიში და დაიჭირა. ერთი ყაჩაღთაგანი მოკლულია და თითონ დელი-უსუფიც მძიმედ არის დაჭრილი, რომელიც ყარსში გაგზავნეს. დარაჯებს ერთი კაცი და ხუთი ცხენი მოუკლეს.

*** განზრახვა აქვთ მომავალ საკადემიო წლიდგან ვაჟების გიმნაზიაში ახალი ენების შესწავლას მეტი დრო მოანდომონ და ბევრად გააფართოვონ იგი.

*** ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე მარიამ ექვთიმეს ასულის პატამოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან 1898 წელს კავკავის ოლქში ერთს ოჯახში მოსამსახურეობის დროს უკანონოდ დაბადებული თვისი ქალი ოლღა ($1^1/_2$ წლისა) ცოცხლად მიწაში ჩაფლა და ზედ ქვა დაადვა, საიდამაც უკვე მკვდარი ბავშვი ამოიყვანეს თურმე. სამოსამართლო პალატამ განიხილა-რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო პატამოვისა და $2^1/_2$ წლით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ველის-ციხე** (სიღნაღის მაზრა). ენკენისთვის 24-ს ველისციხეში სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მ. დავით იაშვილი მოვიდა, შეჰკრიბა ველისციხის მცხოვრები სომხები და ქართველები და გამოუცხადა: ველისციხე ყველაფრით და წინაურებულია, ბევრს აქაურს სოფელს სჯობიან და აღარა აკლია-რა, რომ დაბა ეწოდოს; გაქვთ ორ-კლასიანი სავაჟო სკოლა, აფთიაქი, გყავთ მკურნალი და ფერშალი. აქა სცხოვრობთ სომხები და ქართველები და, როგორც გეტყობათ, ერთობაც გქონიათ, რომ საერთო სავაჟო სკოლა გაგიმართნიათ, მაგრამ ეს-კი ვერაფერი საქმეა, რომ დედათა სკოლა არა გაქვთო. ქალები არა ნაკლებ ჰსაჭიროებენ სწავლაში, რადგანაც, თუ დედა ნასწავლია, შვილებს უფრო შეაყვარებს სწავლასა და რიგიანსათაც აღზრდის.

იმედია, ამის გამო უარს არ იტყვით და სომხები და ქართველები დედათა სკოლასაც დააარსებთო, რაშიაც მთავრობაც დაგეხმარებათ: მასწავლებელ ქალს თავისს ჯამაგირით გაგიმწესებთ, აგრეთვე სასწავლო ნივთებს უფასოდ მოგცემთ და თქვენ მხოლოდ სკოლისთვის შენობა, შეშა და მოსამსახურე იზრუნეთო, ესეთი ხარჯი თქვენთვის ბევრს არაფერს შეადგენსო. ახლად გამწესებული თქვენი მღვდელი მ. გიორგი ციბალაშვილი ყველაფერში დაგეხმარებათ და რიგიანსათაც წაიყვანსო სკოლის საქმეს. კრებაზედ დამსწრეთ ეგონათ სომხები უარს არ იტყოდნენ, მაგრამ წარმოდგა რამდენიმე სომეხთაგანი, რომელთაც უარი ჰყვეს. მართალია, სომხებმა უარი სთქვეს ქართველებთან ერთად დედათა სკოლის დაარსებაზედ, მაგრამ მცირე ნაწილმა ქართველებისამ დიდი სურვილი განაცხადა, ყველა ხარჯი იკისრა, გარდა მასწავლებლის ჯამაგირისა და სასწავლო ნივთებისა. მაშინვე განაჩენი დაადგინეს და ხელიც მოაწერეს.

დიდი ხანია ნაადაგი იყო მომზადებული ველისციხეში დედათა სკოლის დასაარსებლადა და შეწირულებაც იკრი-

---

მენტი,—კაპიტალისტი, საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე და მფლობელი, და მუშა, საკუთრებას მოკლებული, თავისი საკუთარი სამუშაო ძალის გამყიდველი,—ინდივიდუალური დამოუკიდებლობა. კაპიტალი თვით მიწას ჰფლობს, თვით მიწას იმონებს ეხლანდელ დროში, მამული ხომ კაპიტალად შეიძლება რომ იყოს; ეს სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ მამულისა და კაპიტალის დაპირდაპირება შეიძლებოდეს. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ „მამული“ შეიძლება იყოს კაპიტალად და სხვას არაფერს. და მაშინ კაპიტალისტურის წესით ნაწარმოებ „მამულს“ ხომ ვერ დაუპირდაპირებთ საზოგადო ცნებას „კაპიტალს“. მართლა უცნაური დაპირდაპირება ეს იქნებოდა. აქ პირველის შეხედვით ტავტოლოგია გამოვიდოდა, მაგრამ თუ ჩავუკვირდებოდით, ტავტოლოგიაზედ კიდევ მეტი უაზრობაა.

შესაძლებელია დავუპირდაპიროთ ერთმანეთს მიწათ-მფლობელობა ფეოდალიზმის ხანაში და მიწათ-მფლობელობა კაპიტალისტურ ხანაში. შესაძლებელია საშუალო საუკუნოების საბატონო მიწა დაუპირდაპიროთ თანამედროვე კაპიტალისტურ ფორმას, მაგრამ ეს დაპირდაპირება სულ სხვა რასმეს ნიშნავს. იგი შესაძლებელია იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მიწის-მფლობა, ერთი სოციალურ მოვლენათაგანი, საშუალო საუკუნოებში სხვა ფორმას წარმოადგენდა და ეხლა სხვას; აქ მიწათ-მფლობელობა, ერთი და იგივე სოციალური ცნება ყოველ ისტორიულ ხანაში, როდესაც-კი არსებულა მიწათ-მფლობელობა, უპირდაპირდება თავისს ფორმებში ერთმანეთს, თვის განვითარების სხვა-და-სხვა ეპოქებში, როგორც, მაგალითად, „primates“ სხვა-და-სხვა წარმომადგენლები თავის განვითარების სხვა-და-სხვა სტადიებზედ. მაგრამ როდესაც ჩვენ ავიღებთ მიწას, როგორც სოციალურ მოვლენას, განვიხილავთ როგორც მოძრავ, თან-და თან ცვლილების პროცესში მყოფ სოციალურ ელემენტს, რომელსაც არა აქვს დასაბამი და არც ბოლო კაცთა სოციალურ განწყობილებათა ისტორიაში, და დავუპირდაპირებთ მას კაპიტალს, რომელიც მხოლოდ ერთი მომენტია ამ გრძელის ისტორიისა, ერთი გარდამავალი ხანა,—ცხადია მათი დაპირდაპირება შეუძლებელია. თქვენ შეგიძლიანთ, მაგალითად, დაუპირდაპიროთ კაცი მაიმუნის ერთ ტიპს, ეს ტიპი უფრო მდაბალ ტიპს და სხვა. მაგრამ არასოდის კაცი მთელ „primates“, მხოლოდ ერთ ტიპს, რომ კაცი და „primates“-ც ბიოლოგიურ ძალთა პროდუქტია. ამნაირი დაპირდაპირება ნიშნავს მხოლოდ „დაპირდაპირების“ უცოდინარობას.

შემდეგ,—აიღეთ მიწა, როგორც საწარმოო იარაღი, დაუპირდაპირეთ კაპიტალს. ესეც შეუძლებელი დაპირდაპირებაა. მიწა ყოველთვის, ყოველ საზოგადოებრივ ხანაში ყოფილა საწარმოო იარაღად, შრომის იარაღად, კაპიტალი-კი en bloc, საწარმოო საშუალებანია, რომელთაც აქვთ მიღებული „კაპიტალის“ ფორმა. ფეოდალიზმის ხანაში მიწა შრომის იარაღი იყო. კაპიტალიზმის ხანაშიაც იგივეა, თქვენ შეგიძლიანთ ეს ერთი და იგივე შრომის იარაღი სხვა-და-სხვა ისტორიულ ეპოქაში ერთმანეთს დაუპირდაპიროთ, მაგრამ არასოდეს ერთ ისტორიულ ეპოქაში აღებული შრომის იარაღი, მიწა, მეორე ისტორიულ ეპოქაში აღებულ მთელ საწარმოო საშუალებათა გროვას, კაპიტალს, რომელიც მიწასაც შეიცავს.

En passant, თვით მიწა, როგორც შრომის იარაღი, აგრეთვე თვით მიწა, როგორც საწარმოო იარაღი, —არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ეკონომიურ კატეგორიას.

როდესაც, მაგალითად, უნდა შეადარონ ერთმანეთს ორი ისტორიულ ეკონომიური ხანა, მაშინ ერთ საწარმოო იარაღს-კი არ უპირდაპირებენ მთელ საწარმოო საშუალებათა კრებულს, არამედ საწარმოო ძალებს ერთი ეპოქისას და მეორე ეპოქისას. მაგალითად, აი რას ამბობს მარქსი ფეოდალიზმის შესახებ: „ფეოდალური წარმოება რომ კარგად განსაჯო, საჭიროა მისი განხილვა როგორც წარმოების წესისა, რომელიც დამყარებულია ანტაგონიზმზედ, საჭიროა მისი ჩვენება, თუ როგორ სწარმოებდა სიმდიდრე ამ ანტაგონიზმის სიღრმეში, თუ როგორ ვითარდებოდნენ საწარმოო ძალანი კლასთა ანტაგონიზმთან ერთად, თუ როგორ იზრდებოდა ერთი კლასთაგანი იმ დრომდე, ვიდრე მისი ემანსიპაციის მატერიალურმა პირობებმა არ მიაღწია მომწიფულობის წერტილამდე“. (Karl Marx, Misère de la Philosophie etc., p. 167, Paris, 1896).

ესევე შეიძლება ვთქვათ ყველა ისტორიულ-ეკონომიურ ფორმაციის შესახებ, მაშასადამე მათი გარჩევა მხოლოდ მთელ საწარმოო ძალთა განვითარების ხარისხთა შედარებით შეიძლება და არა მითი, რომ, ვიმეორებ, ერთი საწარმოო იარაღი ერთ ეპოქაში მთელ საწარმოო საშუალებათა გროვას შეადარო მეორე ეპოქაში.

მაშასადამე, როგორ გინდათ რომ შეადაროთ მიწა კაპიტალს? თავისთავად ხომ ეს ორი ცნება განუზომელია, ერთისა და იმავე საზომ ერთეულით. როგორც სოციალური მოვლენა? მაგრამ როგორც ამგვარი მიწა ყველა ისტორიულ ეპოქაშია და ვერც ერთ მათგანს ვერ დაახა-

ბებოდა, მაგრამ საქმეს მაინც შესრულება ვერ ეღირსა. რამდენიმე სასხდომი მაგიდა ემაწვილებისთვის უკვე დამზადებულია და საკლასო დაფაც შემოწირულია ურიათუბნის მღვდლის იროდიონ ჩეკუროვისაგან, რომელსაც სხვა სკოლებშიაც შეუწირნია დ:ფები. ურიგო არ იქნება მამა ჩეკუროვს სხვებმაც მიჰბაძონ და ველისციხის მომავალს დედათა სკოლას შემწეობა აღმოუჩინონ. მთელს სიღნაღის მაზრაში ეს მეოთხე დედათა სამრევლო სკოლა იხსნება და დიდათ მოხარულნი ვართ, რომ სამრევლო სკოლების გამგეობა ასე სცდილობს მათს გამრავლებასა და მით ხალხის განათლებას. იმედია, ჩვენი კახეთი დასაწყის სკოლების შემწეობით თან და-თან გამოიღვიძებს და შემდეგში სამეურნეო და სხვა პროფესიალურს სკოლებსაც ეღირსება.

თ. კახელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გუშინ მიღებულ 30 სექტემბრის გაზ. „Русск. Вѣд."-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნის ა. ხახანაშვილისა იმის შესახებ, თუ როდის სრულდება ერთი საუკუნე საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. პატივცემული პროფესსორი სცდილობს გამოარკვიოს დანამდვილებით დასაწყისი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, რადგან ამის შესახებ სამი სხვა-და სხვა აზრი ტრიალებსო: ერთნი დასაწყისად სთვლიან რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მანიფესტს, 1801 წლის 18 იანვარს გამოცემულს, მეორენი—ალექსანდრე I-ის მანიფესტს, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემულს და, დასასრულ, მესამენი, 1800 წლის 28 დეკემბერს, იმ დღეს, რა დღესაც გარდაიცვალა უკანასკნელი გვირგვინოსანი მეფე საქართველოსი გიორგი მე-XII ო. აი რასა სწერს ბ-ნი ა. ხახანაშვილი:

1783 წლის ხელ-შეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქმნა ეკატერინე მე-II-სა და საქართველოს მეფის ერეკლე მეორეს შორის, საქართველომ განაცხადა თავი თვისი რუსეთის უზენაესის მფარველობასა ქვეშე მყოფად და მისგან დამოკიდებულ სამეფოდ შეიქმნა. საქართველოს მეფეებს, ტახტზედ ასვლის დროს, დამტკიცება უნდა გამოეთხოვათ რუსეთის იმპერატორისაგან. ერეკლე მე-II-ის გარდაცვალების შემდეგ (1799 წ.), პავლე I-მა საქართველოს მეფედ დაამტკიცა მისი ძე გიორგი მე-XII, ხოლო ტახტის მემკვიდრედ—გიორგის უფროსი ძე დავითი, რომელიც რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა. ბედმა ბაგრატიდების შთამომავალთაგან უკანასკნელი გვირგვინოსანი მეფობა საქართველოში გიორგი მე-XII-ს არგუნა. როდესაც იგი გარდაიცვალა (1800 წ. 28 დეკემბერს), მისი ძე დავითი არ იქმნა დანიშნული საქართველოს მმართველად მეფის სახელ-წოდებით, როგორც განზრახული იყო მეფე გიორგისა და იმპერატორ პავლე I-ის მოლაპარაკებით. გენერალმა ლაზარევმა საქართველოში დროებითი მმართველობა დააწესა, რომელსაც ბოლო მოუღო პავლე I-ის მანიფესტმა, 1800 წლის 22 დეკემბერს ხელ-მოწერილმა (ე. ი. მეფე გიორგის გარდაცვალებამდე), პეტერბურგში 1801 წ. 18 იანვარს გამოქვეყნებულმა და ტფილისში 1801 წ. 16 თებერვალს გამოცხადებულმა. ამ გვარად, ფაქტიურად საქართველოს მეფობის დამოუკიდებელი არსებობა გიორგი მე-XII-ის გარდაცვალების დღეს მოისპო. პავლე I-ის მანიფესტმა განსაზღვრა მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების იურიდიული პირობები. ამ მანიფესტში ნათქვამია, რომ მეფე გიორგიმ, სიკვდილის ჟამს, სთხოვა ხელმწიფეს მიეღო მისი სამეფო დამოუკიდებელ ქვეშევრდომად, „და ამითი ვაცხადებთ ჩვენის იმპერატორებრივის სიტყვით, რომ საქართველოს სამეფოს სამუდამოდ ჟამისად ჩვენს მპყრობელობასა ქვეშე შეერთების შემდეგ, საქართველოს სამეფოს და მის ქვემდებარე ოლქების ჩვენთა საყვარელ-ერთგულ ახალ ქვეშევრდომთ არამც თუ მიენიჭებათ და სავსებით ექმნებათ დაცული ყოველივე უფლება-უპირატესობა და საკუთრება, კანონიერად თითოეულის კუთვნილი, არამედ ამიერიდგან ზემოხსენებულ ოლქების მცხოვრებთა ყოველს წოდებას შეეძლება სარგებლობა იმ უფლებანითა, თავისუფლებითა და უპირატესობანით, რომლითაც სტკბებიან ჩვენთა სათვარველსა ქვეშე რუსეთის უძველესნი ქვეშევრდომნი, ჩვენთა მამა-პაპათა და ჩვენის წყალობით".

ეს მანიფესტი საქართველოში გამოცხადდა, „ხოლო ხალხის მიერ ფიცის მიღება შეჩერებულ იქმნა, ვიდრე დეპუტაცია (ქართველთა) ფიცსა სდებს პეტერბურგშიო". ეს ფიცის დადება პავლე I-ის ერთგულებაზედ არ შესდგა, რადგან იგი გარდაიცვალა (1801 წ. 12 მარტს) ისე, რომ ვერ გარდასწყვიტა, როგორი მართვა-გამგეობა შემოეღო საქართველოში. მართვა-გამგეობის წესის საბოლოოდ დადგენა ეკუთვნის ალექსანდრე I-ს (1801 წ. 12 სექტემბერს), რომელმაც საქართველოს მთავარ-მართებელად გენერალი კიუფრინგი დანიშნა, იმის ნაცვლად, რომ „ნამესტნიკად" ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილთაგანი დაენიშნა მეფის სახელ-წოდებით, როგორც ამასა სთხოვდნენ საქართველოს დეპუტატები. ამ მეფეს სახელმწიფო უნდა განეგო რუსეთის ერთის ჩარწინებულის თანამონაწილეობით, რომელსაც მეფის შემდეგ მეორე ადგილი უნდა სჭეროდა.

ამგვარად გიორგი მეფის სიკვდილთან ერთად მოისპო ფაქტიურად საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, რადგან დავითი მმართველის სახელს ატარებდა და არა მეფისას; იმპერატორის პავლე I-ის მანიფესტი აღნიშნავს სურვილს გიორგი მეფისას, რომელიც ეძიებდა მუდმივს მფარველობას რუსეთისას, ზოგიერთის ცვლილებანით ხელ-შეკრულობის პირობანში, ხოლო ისე-კი, რომ ნათლად ეთფილიყო აღნიშნული აზრი ქართველთა-გაერთიანებულებისა „რუსეთის უძველესს ქვეშევრდომებთან"; მანიფესტმა იმპერატორის ალექსანდრესამ, რომელიც ხანგრძლივ ყოყმანობდა და არა კისრულობდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას „საერთაშორისო უფლებათა ხელ-შეუხებლობის" პატივის-ცემისა გამო და რომელმაც ბოლოს აღიარა აუცილებლობა საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებისა,— შექმნა ადმინისტრაცია შეერთებულს ქვეყანაში, საკმაოდ შესცვალა რა განზრახულება მეფის გიორგი მე-XII-საცა და იმპერატორის პავლე I-საც. თუ ამ ზემოხსენებულს რიცხვებს შევუდარებთ და არდა გამოვკვიდებით იმ საბუთის ქაღალდების დაწვრილებითს განხილვას, რომელნიც საქართველოს სამეფოს მრავალ საუკუნოვან არსებობის უკანასკნელს დღეებს შეეხება, ჩემის აზრით, უფრო საფუძვლიანი იქნება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღედ უკანასკნელის მეფის გიორგი მე-XII-ს სიკვდილის დრო ჩავთვალოთ, ე. ი. 1800 წ. 28 დეკემბერი, რადგან ამ დღიდგან დაწესებულ იქმნა რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში ჯერ დროებითი და შემდეგ მკვიდრი მმართველობა, უზრუნველ-მყოფელი ყველასათვის „მართლ-მსაჯულებისა, პირად და ქონებრივ უშიშროებისა და კანონის მფარველობისა", როგორც ნათქვამია ალექსანდრე I-ის მანიფესტში.

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს საყურადღებო ცნობები შეუკრებია იმის შესახებ, თუ 1878, 1888 და 1898 წლ. რამდენი განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზდა გაუყვანიათ სამხედრო ბეგარის მოსახდელად. სულ 214,309 ჯარის-კაცთაგან, რომელნიც 1878 წელს გაუყვანიათ, უმაღლეს სასწავლებლების დიპლომით ყოფილა 125 კაცი, საშუალო სასწავლებლების დიპლომით—329, დაბალს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებული—1,363, პირველ-დასაწყისს სასწავლებლებში კურს-დამთავრებული—1,168 და წერა-კითხვისა და ან რომელისამე მათგანის მცოდნე—41,282. 1888 წელს 248,966 სამხედრო სამსახურში გაყვანილ ჯარის-კაცთაგან: უმაღლესის სასწავლებლების დიპლომით ყოფილა 443 კაცი, საშუალო სასწავლებლებისა—700, დაბალს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებული—4,307, პირველ დასაწყისს სკოლებში კურს-დამთავრებული—8,763 და წერა-კითხვის მცოდნე—60,908. და ბოლოს 1898 წელს სულ გაუყვანიათ სამხედრო ბეგრის მოსახდელად 284,825 კაცი, რომელთაგანაც უმაღლესი სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული 516, საშუალო სასწავლებელი—27,980 და წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა 95,721.

— ურალის მთებში მიმდინარე წლის პირველ ნახევარს ამოუღიათ $224^1/_2$ ფუთი ოქრო, რომელიც წარსულ წელთან შედარებით $15^0/_0$ ნაკლებს შეადგენს. საზოგადოდ ამ წლის 1-ლი ნახევარი ვერავერს იმედს იძლევა და ძვირფას ლითონების შემოსავალი 850,000 მ. ნაკლებს იძლევა.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სამისიონერო კრებები ხშირად მოიწვიონ ხოლმე, განსაკუთრებით-კი იმ ადგილებში, სადაც უცხო ერთა შორის სამისიონერო მოღვაწეობა განვითარებულია.

— სამხედრო სამკურნალო აკადემიასთან განსაკუთრებული ცნობათა შემკრები განყოფილება არსდება, რომელსაც აზრად ექმნება აკადემიის ღარიბ სტუდენტებს სამუშაო მოუძებნოს.

— ტვერისა და კაშინის ეპისკოპოსს უწმიდესის სინოდის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ნება დაერთოს მას მისის უდიდებულესობის გუსართა ლეიბ-გვარდიის რაზმის კორნეტი გრაფი ვლადიმირ ალექსის ძე ბობრინსკი მღვდლათ ხელ-დასხმულ იქმნეს.

— ერთის კერძო საქმისა გამო—აქვს თუ არა უფლება სასამართლოს მოწინაამდეგე მხარეთა უთხოვნელად თავისით უთხრას უარი მოწმეს ჩვენებაზე,—განმარტავს სენატი, რომ არსებულ კანონდებულებით სასამართლოს ნება არა აქვს თავისის უფლებით უარი უთხრას მოწმეებს ჩვენებაზედ, თუ ამას თითონ მოწინააღმდეგენი არა თხოულობენო.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ამ ბოლოს დროს თან და-თან ირკვევა, რომ იმ მოძრაობას, რო-

სიათებს, კაპიტალი-კი მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრულ ხანაში.—როგორც „კაპიტალები"? ესე იგი თქვენ იხელმძღვანელებთ იმითი, რომ მიწას „კაპიტალად" შეუძლიან იყოს? მაგრამ მაშინ ეს ხომ ტავტოლოგია იქმნებოდა, და არა მარტო ტავტოლოგია,—„მიწა-კაპიტალი" დაუპირდაპირდებოდა „ცნება კაპიტალს". როგორც შრომის იარაღი, ისე აიღებთ მიწას? მაგრამ მაშინ ხომ თქვენ შრომის იარაღს შეადარებდით მთელ სიწარმოო საშუალებათა კრებულს. შეადარეთ თუ გინდა მაშინა კაპიტალს—არაფერი არ გამოვა, აბსურდის მეტი.

გადავიდეთ შრომასა და კაპიტალზედ. შრომა თავის თავად სამუშაო ძალის გამოჩენაა, ფიზიოლოგიური ენერგიის გამოჩენა, ფიზიოლოგიური მოვლენაა. იგი გამოჩენის ფორმაა და არა შინაარსი. იგი ღირებულების წყაროა, მას არა აქვს ღირებულება. შრომას რომ ღირებულება ჰქონდეს, მაშინ ღირებულების ანალიზი, ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელი იქმნებოდა. შრომას რომ ღირებულება ან ფასი ჰქონდეს, მეორე მხრივ, მაშინ კაპიტალი აღარ იქმნებოდა.

მაშასადამე, შეუძლებელია, რომ არსებობდეს „საქირავო შრომა", რადგანაც ქირაობა ჰნიშნავს ეკვივალენტთა გაცვლას, ღირებულებათა ეკვივალენტების გაცვლა კი მაშინ შეიძლება, როდესაც ორივე მოპირდაპირე საქონელს აქვს „ღირებულება". მარქსმა კარგად იცოდა, რომ „საქირავო შრომა"—აბსურდი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მეტაფორულად ის ამას ხშირად ჰხმარობს. რა უნდა იქირავო, რასაც ღირებულება არა აქვს? ამის გარკვევა მარქსს დაწვრილებით აქვს „კაპიტალის" იმ თავში, სადაც სამუშაო ქირას არჩევს (მე-18 თავში.)

ის თვისება შრომისა, რომ ღირებულებასა ჰქმნის,ართმევს იმ უფლებას, რომ თვით იყოს ღირებულება. კაპიტალი-კი ღირებულებაა, თვით მოზარდი ღირებულება, შრომა მხოლოდ სახმარი ღირებულებაა, კაპიტალი-კი საცვალი, მაშასადამე არ შეიძლება მათი დაპირდაპირება როგორც უღირებულებო საგნის და როგორც ღირებულებიანის, როგორც სახმარ ღირებულებისა და როგორც საცვალ ღირებულების.

შემდეგ,—შრომის ისტორია ყველა ეკონომიური ფორმაციების ისტორიაა. ეკონომიური ეპოქანი გაირჩევიან იმითი, თუ რა გარემოებაში ხდებოდა შრომა, როგორ მწარმოებელ განწყობილებათა მხედველობის ქვეშ სრულდებოდა შრომის პროცესსი. კაპიტალი-კი მხოლოდ ერთი მომენტია ამ ისტორიისა: ის ფორმა შრომისა, რომელიც არსებობს კაპიტალიზმის ხანაში, განირჩევა ყოველ სხვა ეპოქის შრომათა ფორმებისაგან. მაშასადამე სხვა-და-სხვა ეპოქის შრომათა დაპირდაპირება შეიძლება და შრომისა, საზოგადოდ, როგორც სოციალურ მოვლენისა, და კაპიტალისა, რომელიც სოციალური მოვლენაა მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში. შრომა, როგორც სოციალური მოვლენა, არ უნდა დაუპირდაპიროთ კაპიტალს, როგორც სოციალურ მოვლენას, როგორც მთელი ნაწილს.

შეიძლება დაუპირდაპირდეს ერთმანეთს მხოლოდ საწარმოო საშუალებანი კაპიტალის ფორმაში, რომელთაც აქვთ ღირებულება, და სამუშაო ძალა, რომელსაც აგრეთვე აქვს ღირებულება, მაგრამ ეს ხომ კაპიტალის ორ ნაწილად დაყოფაა და სხვა არაფერი. აქ უპირდაპირდება ერთი-ერთმანეთს ორი ნაწილი კაპიტალისა: კაპიტალი მუდმივი—C და კაპიტალი ცვლილებითი—U.

შემდეგ,—სამუშაო ძალა და კაპიტალი უპირდაპირდება ერთმანეთს, როგორც სუბიექტიური და ობიექტიური ფაქტორი კაპიტალისტურის წარმოებისა, მაგრამ აქ სამუშაო ძალა შრომა არ არის, მათ შორის იგივე გარჩევაა, რაც საზოგადოდ გამოჩენის ფორმასა და მისს შინაარს შორის. და როდესაც გინდათ ორი ეკონომიური ფორმაცია გაარჩიოთ ერთი ერთმანეთისაგან, მაშინ კაპიტალი და შრომა-კი არ უნდა დაუპირდაპიროთ ერთი ერთმანეთს, არამედ ის გარემოებანი, რომელშიაც ხდება საზოგადოდ წარმოების სუბიექტიურ ობიექტიურ ფაქტორების შეერთება, ურომლისოდაც ნამდვილი წარმოების პროცესსი შეუძლებელია. ამ გვარ დაპირდაპირების შესახებ-კი ზევით მოგახსენეთ (Misére de la Philosophie etc...).

შეიძლება დაუპირდაპიროთ შემდეგ მუშა და კაპიტალისტი ერთმანეთს, პირველი, როგორც საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე,—მეორეს, როგორთც თავისის საკუთარ სამუშაო ძალის მესაკუთრეს, ექსპლოატატორი იმას, ვისაც ექსპლოატაციას უშვებიან, მაგრა ეს მხოლოდ კაპიტალიზმის ხანაში კლასთა ანტაგონიზმის აღნიშვნა იქმნებოდა, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საზოგადოდ შრომისა და კაპიტალის დაპირდაპირებასთან, რადგანაც საზოგადოდ კლასსთა ანტაგონიზმი არსებობდა უწინაც, და შრომას ყველა იმ ეპოქაში, რომლებიც დაფუძნებული იყო კლასსთა ანტაგონიზმზედ, თავისი სპეციფიკური სახე აქვს, აგრეთვე სპეციფიკური ფორმა ექსპლოატაციისა.

Poor Georgeson

(დასასრული იქნება)

მელიც ამ ჟამად სამხრეთ ჩინეთშია და რომელიც მეტად დიდ მანძილს მოედვა, არავითარი საერთო არა აქვს-რა იმასთან, რომელიც ჩილის პროვინციასა და მანჯურიაში მოხდა. ჩილის პროვინციასა და მანჯურიაში მომხდარ მოძრაობას ერთად-ერთი აზრი და საგანი ჰქონდა — უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტა და სრულიად განდევნა ჩინეთიდგან. საიდუმლოს აღარავისთვის შეადგენს ეხლა, რომ ამ მოძრაობაში მოკრივეებთან ერთად მონაწილეობას იღებდა თვით მთავრობაც — იმპერატრიცა, იმის მინისტრები, მახლობელნი და კარის-კაცნი და ამათ ბრძანებით იმპერატორის ჯარი. ეს მოძრაობა პირდაპირ უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ იყო მიმართული და უცხო-ქვეყნელთა სახელმწიფონიც სწორედ ამიტომ ჩაერივნენ საქმეში, — გაგზავნეს ჯარი, აიღეს ტიანძინი, პეკინი და თითქმის მთელი მანჯურია. სულ სხვა ამბავი ხდება ამ ჟამად სამხრეთ-ჩინეთში: იქ მოძრაობა მიმართულია ჩინეთის აწინდელ დინასტიის წინააღმდეგ და მონაწილეობასაც სულ სხვანი იღებენ, სახელდობრ შესანიშნავის რეფორმატორის კან-იუ-ვეის მომხრენი. მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, ვინ არის კან-იუ-ვეი; ამ ორის სამის წლის წინად ამ კაცმა მთელი ჩინეთი და ევროპა აალაპარაკა. კან იუ-ვეი დიდად ნიჭიერი კაცია, ევროპიული განათლება აქვს მიღებული და გულითა და სულით არის მოწადინებული ევროპიულ კულტურის გავრცელებას. იმის გავლენით ახალგაზდა იმპერატორმა კიდეც მოიწადინა რეფორმების შემოღება და ჩინეთის აწინდელის წეს-წყობილების შეცვლა, მაგრამ შეუდგნენ თუ არა რეფორმატორები ამას, საქმეში ქვრივი იმპერატრიცა და იმის მომხრენი ჩაერივნენ და ისევ ძველებურად წაიყვანეს საქმე. ცუდი დღე დაადგათ მაშინ როგორც თვით იმპერატორს, აგრეთვე კან-იუ-ვეისა და იმის მომხრეთ. იმპერატორს ყოველივე უფლება ჩამოართვეს, ხოლო რეფორმების მომხრენი სიკვდილით დასაჯეს. გადარჩა სიკვდილს, ისიც ინგლისის წყალობით, მხოლოდ კან-იუ-ვეი და ორიოდე სხვა. ყველას ეგონა, რომ ძველის წეს-წყობილების მოტრფიალეთა გამარჯვება დიდის ხნობით შეაჩერებს ჩინეთის გამოფხიზლებასა და ევროპის გზაზედ დადგომასაო. მაგრამ როგორც ეხლა სჩანს, ეს მოლოდინი არ გამართლდა. კან-იუ-ვეის მრავალ მომხრეებს არა სძინებიათ, ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ თურმე სამხრეთ ჩინეთში და ეხლა, როდესაც მარჯვე შემთხვევა დაინახეს, შეუდგნენ თავიანთ აზრის განხორციელებას, ე. ი. რეფორმების შემოღების დაწყებას, ხოლო რადგანაც რეფორმების შემოღება მანამდე არ შეიძლება, ვიდრე ჩინეთში მანჯურიის დინასტიაა გაბატონებული და ვიცე-კოროლებად და გუბერნატორებად მანჯურელნი არიან, ჯერ ამ დინასტიის გადაყენებას შეუდგნენ. რასაკვირველია, ჩინელთა უმრავლესობას, რომელიც ეხლა დინასტიის წინააღმდეგ მოქმედებს, რეფორმები არა აქვს სახეში, მას მხოლოდ მანჯურიის დინასტიის გადაყენება აქვს აზრად. ეს დინასტია ჩინელებს ძალიანა სძულთ და კან იუ-ვეი და იმის მახლობელნი სარგებლობენ ამ სიძულილით. აქამდე ეგონათ, რომ ამ ახალ მოძრაობაში მოკრივენი იღებენ მონაწილეობასაო, მაგრამ, ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მეამბოხენი მოკრივეები-კი არა, ეგრედ წოდებული ტაიპინგები („შავი დროშანი“) არიან, რომელთაც წინადაც არაერთხელ გაუჭირეს საქმე ჩინეთის მთავრობას.

ამ სამ-ოთხ დღეში მიღებული დეპეშები ყველანი ერთ-ხმად მოწმობენ, რომ ეს ახალი მოძრაობა მთელ სამხრეთ ჩინეთს მოედოო. მეამბოხეთ უკვე რამდენჯერმე დაუმარცხებიათ იმპერატორის ჯარი. ამასთან მეამბოხენი სრულიად არაფერ ვნებასა და ზარალს არ აყენებენ არც მშვიდობიან მცხოვრებთა და არც უცხო-ქვეყნელთ: არ ანადგურებენ მისსიებს, არა ჰხოცავენ მისსიონერთა და ქრისტიანებს, ერთის სიტყვით, ისინი მხოლოდ იმპერატორის ჯარსა და იმის მოხელეებს ებრძვიან. ყველაზე საყურადღებო ამ საქმეში ის არის, ვის მხარეს დაიჭერენ სახელმწიფონი. ზოგიერთმა გაზეთმა განაცხადა, ეხლა რაკი გამოირკვა, რომ ეს ახალი მეამბოხენი უცხო-ქვეყნელთ არაფერს ერჩიან, სახელმწიფოებმა მხარი აღარ უნდა დაუჭირონ სამეფო გვარეულობას, პირიქით მეამბოხეთ უნდა დაეხმარონ, გადააყენონ იმპერატორი და იმის ნაცვლად ახალი აიყვანონ ტახტზედაო.

**სამხრეთ აფრიკის ომი.** „Morning Leader“-ი სწერს: „გენერალმა რენდლმა დღემდის ვერ მოახერხა დევეტის დამარცხება და იმის ჯარის გაფანტვა. დევეტი უწინდელებრ დათარეშობს და იქა ჩნდება თავისის ჯარით, სადაც უნდა. როგორც უკანასკნელად იუწყებიან, დევეტი პრეზიდენტ შტეისს შეუერთდა. ყოველს შემთხვევაში თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბურების მამაცი გენერალი იქ არ იქმნება, სადაც ინგლისელები უცდიან და უდარაჯებენ. გასაკვირველი არ იქმნება, ხვალ ან ზეგ ამბავი მოვიდეს, რომ დევეტი ამა და ამ რაზმს დაეცა ან ესა და ეს სიმაგრე აიღოო“. გაზეთი არ შესცდა: მეორე დღეს ამბავი მოვიდა, რომ დევეტი ეხლა ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთით არისო. ინგლისელებს შეტაკება ჰქონიათ რუკსვილთან, რომელიც ბურებს ხელ-ახლა დაუბრუნებიათ.

მასსერუდგან იუწყებიან, რომ ვოლმანს-გეგთან ბურების ახალი რაზმი გაჩნდაო. ლედიბრანდთანაც ყოფილა ბურების რაზმები. ჩრდილოეთით ბურები პილგრიმს-რესტთან გამაგრებულან. იქ სულ 5000 კაცია; მათ 22 ზარბაზანი აქვთ. წვრილ-წვრილი რაზმები ბურებისა ბევრგან სხვაგანაც არიან და აწუხებენ ინგლისელებს.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები

ერთი ახალი ექსპედიცია კიდევ გაუდგა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. ეს ექსპედიცია, კაპიტანის ოსკარ ბაუენდალის მეთაურობით, 15 აგვისტოს გავიდა ჰამბურგიდგან. ბაუენდალი დიდხანს ემზადებოდა ამ ექსპედიციისათვის. სურსათი, თბილი ტანისამოსი, ნივთები და სხვ. იმდენი წაიღო, რაც ორ წელიწადს ეყოფა. ყველა ეს ყუთებში აწყვია; სულ 95 ყუთია და ერთად ეს ყუთები 600 ფუთს იწონიან. ყუთებს მაგარი და მკვიდრი კედლები აქვს. ქვევიდგან ისეა მოწყობილი, რომ ყინულზედ მარხილივით შეიძლება მათი ტარება. ბაუენდალი გამოცდილი მოგზაურია, ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ჩრდილოეთ ზღვებსა და ყინულებში მოგზაურობს. კაპიტანს იმედი აქვს, რომ ჩრდილოეთ პოლიუსს მიაღწევს. ეს ექსპედიცია სულ 40,000 მანეთი დაჯდა. კაპიტანის ბაუენდალის გარდა გემზედ ექვსი სხვა კაცი არის.

* * *

უწინდელ დროში ალმასი მარტო ინდოეთიდგან მოჰქონდათ. 1727 წელს ინდოეთს გარდა ბრაზილიაშიაც აღმოაჩინეს ალმასის მადნები, ხოლო 1870 წელს სამხრეთ აფრიკაში, კიმბერლეიში. როგორც მცოდნე კაცებს გამოუანგარიშნიათ, ინდოეთიდგან 1899 წლამდე სულ 425 მილიონ ფრანკის ალმასი გაუტანიათ, ბრაზილიიდგან — 500 მილიონ ფრანკისა, ხოლო სამხრეთ აფრიკიდგან — 2 მილიარდ ფრანკისა. ამ რიგად 30 წლის განმავლობაში სამხრეთ აფრიკამ ბევრით გადააჭარბა ინდოეთსა და ბრაზილიას.

* * *

დიდძალი შემოსავალი აქვს თითქმის ყველგან ქალაქებში გამართულ ცხენისა და ელექტრონის რკინის გზებს, ამიტომ ამ ბოლოს დროს ევროპაში, განსაკუთრებით-კი ინგლისში, ქალაქები დიდის გულ-მოდგინეობით შეუდგნენ ასეთ გზების გამოსყიდვას კერძო კაცებისაგან. თუ რა შემოსავალი აქვს ელექტრონის რკინის გზებს, სჩანს შემდეგის ციფრებიდგან. 1899 წელს შემდეგი წმინდა მოგება ჰქონდათ ელექტრონის გზისაგან ინგლისის ქალაქებს:

| | | |
|---|---|---|
| ლიდს . . . | 277,500 | მანეთი. |
| ლივერპულს. . | 640,000 | „ |
| გალიფაქს . . | 60,500 | „ |
| დუს . . . . | 35,500 | „ |
| ბლეკპულს. . | 90,000 | „ |
| გლასგოს. . . | 1,211,000 | „ |

გლასგომ ელექტრონის რკინის გზებზედ უკვე 9 მილიონი მანეთი დახარჯა და ეხლა, როგორც მკითხველიცა ჰხედავს, ქალაქს 1,211,000 მანეთი წმინდა მოგება აქვს. ამით აიხსნება ის, რომ გლასგოში არც ერთ სახლის პატრონს და, საზოგადოდ, მცხოვრებს არავითარი გადასახადი არ ადევს. ეხლა გლასგოს თვით-მმართველობას აზრადა აქვს ქვა-ნახშირის წარმოებასაც შეუდგეს. ქვა-ნახშირის მადნები ამ ქალაქის ადგილებშია და თვით-მმართველობას ამ ჟამად იჯარითა აქვს გაცემული. თვით-მმართველობა ჰფიქრობს, ამისათვის 5 მილიონი მანეთი აიღოს სესხად. ამას გარდა თვით-მმართველობას აზრადა აქვს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ უსასყიდლოდ აძლიოს ქვა ნახშირი.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკის რუტკოვსკის ჯარმა, რომელიც მსროლელთა ერთის რაზმისა და 100 ჯარის-კაცისაგან შესდგება, დაიჭირა ლალიენჩენი. მოხელენი და მცხოვრებნი ჯარს ქალაქს გარეთ დაჰხვდნენ. დამოკიდებულება საუკეთესოა. გზაზედ მცხოვრებნი მინდვრებში მუშაობდნენ; ქალაქის მოხელენი და ძიან-ძიუნის მიერ გაგზავნილი კაცები მასპინძლობას უწევდნენ ქალაქში აფიცრებს. მოქალაქენი შინაურ ფრინველებსა სთავაზობდნენ.

**კრონშტადტი.** სამხედრო გემები „პოლტავა“ და „სევასტოპოლი“ დღეს წავიდნენ დიდ ოკეანეში. საზღვაო სამინისტროს გამგემ დაათვალიერა გემები და გამოემშვიდობა აფიცრებსა და ზღვაოსნებს. „პოლტავით“ ბოგდანოვიჩმა ვიცე-ადმირალს ალექსეევს გაუგზავნა ჯარის-კაცებისათვის დასარიგებლად რამდენიმე ათასი სურათი, რომლებშიაც დახატული არიან მათი უდიდებულესობანი იმ დროს, როდესაც მოსკოვში საზიარებლად ემზადებოდნენ. გაგზავნილ იქმნა აგრეთვე სხვა სურათები და პატრიოტული გამოცემანიც ბოგდანოვიჩისა.

**პეკინი.** ინგლისის ჯარმა დაიჭირა საზაფხულო სასახლე, რომელსაც რუსებმა თავი მიანებეს, რადგანაც პეკინიდგან წავიდნენ. პეკინ-ტიანძინის რკინის გზის ერთი ნაწილი, სიგრძით ექვსი მილი, რომელიც რუსებმა შეაკეთეს და რუსებსავე ეჭირათ, გუშინ ფორმალურად გადაეცა გერმანიის საექსპედიციო ჯარის მაიორს გლაზენაპს; გზის საქმეები იმან უნდა განაგოს. მეორე ნაწილი გადაეცა ინგლისელებს, რომელნიც გულ-მოდგინედ მუშაობენ იმის შესაკეთებლად; მესამე იაპონელებს ხელშია. რუსეთის ჯარმა შეაკეთა დიდი ნაწილი ლიანდაგისა იანცუნსა და პეკინს შუა იმ იმედით, რომ მეორე ნაწილის შეკეთება, რომელიც ნემენცთა ჯარის ხელშია, ნოემბრამდე გათავებულ იქმნება.

**კანტონი.** კანტონის საიმპერატორო ჯარის რაზმი დამარცხდა და 200 კაცი მოუკლეს. ახალი ცნობები აღარ ისმის იმის შესახებ, რომ შუაგულ მხარეში ამბოხება ვრცელდებოდეს როგორც ნახევარ კუნძულს კაულონსა, ისე დასავლეთ მდინარეზედ ამბოხებას უცხოელთა სამტრო ხასიათი არა აქვს.

**პარიჟი.** პალატათა სესსია ელისეის სასახლის საბჭომ 24 ოქტომბრისათვის დანიშნა.

**ვაშინგტონი.** კონჯერი იუწყება დეპეშით, რომ ჩინეთის იმპერატორი პეკინში დაბრუნდა ამერიკელთა თანახლებით და მფარველობის ქვეშო.

**ტიანძინი.** სადიპლომატო კორპუსის კრებაზედ დელკასესს წინადადებანი ერთხმად მიიღეს; კონჯერი საჭიროდ სთვლის, რომ საფრანგეთის პირობები ჩინელებს თვითონ მორიგების დროს წარუდგინონ; იტალიისა და ინგლისის ელჩებმა მოითხოვეს, რომ ცუნგ-ლი-იამენი გარეშე საქმეთა სამინისტროთ იქმნას გადაკეთებული და ევროპიელთა წინააღმდეგ მოძრაობის დამწყებთა დასჯის შესახებ ბრძანება ორის წლის განმავლობაში გამოკიდული იქმნას. სხვა ელჩებმაც მოიწონეს ეს მოთხოვნილება.

4 ოქტომბერი.

**პარიზი.** დღეს გუბერნიის საელჩოს შემწეობით გარდაეცა პასუხი გერმანიისა დელკასეს ნოტაზედ. ზოგიერთი გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ დელკასემ დიდ სახელმწიფოებს ახალის ნოტათ მიჰმართა, რომელშიაც ანგარიშს უწევს დიდთა სახელმწიფოთა პასუხებს, საფრანგეთის პირველს ნოტაზედ მიღებულს. ამ მეორე ნოტის გაგზავნას შედეგად მოჰყვება აზრთა გაზიარება დიდთა სახელმწიფოთა შორის, რათა თავისს წარმომადგენლებს პეკინში შესაფერი დარიგებანი მისცენ.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადებულია: ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში ავად გამხდარი, რომელიც ჭირით ეგონათ ავად, ამ სენით არა ყოფილა დაავადებული.

**ჰააგა.** ოფიციალურად დაბეჭდილია მანიფესტი დედოფლის ვილჰელმინასი, რომლითაც იგი აცხადებს, რომ დავინიშნე ჰერცოგ ჰენრიხ მეკლენბურგ-შვერინელზედაო.

**გონგკონგი.** ამბოხება შიდა ადგილებში, რომელნიც კაულუნს ნახევარ-კუნძულს აკრავს, ჯერ არ დაწყნარებულა. მეამბოხენი აღმოსავლეთის მდინარისაკენ იწევენ. ადმირალი ხო აყოვნებს და მტერს არ უტევს, თუმცა 4,000 კაცი ჰყავს. ინგლისის რაზმმა მიაღწია საზღვარს, სადაც დაიბანაკა.

**პეტერბურგი.** 3 ოქტომბერი. ბირჟა. ტფილისის სათავ-დ-აზნაურო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებში იძლევიან 95½ მან.; 4½%-იანი ჰფასობს 85½ მან. ქუთაისისა — 6%-ში იძლევიან 101½ მან., 5%-ში — 95½ მან.

---

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „დამონებულნი“, ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდგან ივ. ვაზოვისა, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, ხოლო გამოცემული სპირიდონ ნარაკიძის მიერ. ეს რომანი წინად ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა. წიგნი 476 გვერდს შეიცავს და ღირს ერთ მანეთად.

---

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

7 ოქტომბერი

ივანე და ლევან ბაზარაშვილებისა, რომელთაც შეურაცხების მიყენება ჰბრალდებათ.

ანტონ ქიტუაშვილისა — კაცის დაჩეხა ჰბრალდება.

ერმილე კოჩიაშვილისა — ნამალევად არაყის ხდის ბრალი ედება.

## ანცხადებანი

გამოვიდა და იყიდება მმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

ფასი **ჩანგი** მანეთი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა; 2) „დაძმა“, ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. 4) „დაკეტილ კარებთან“. 5) „ავაზაკები“, შილლერისა და „შეშლილის წერილები“, გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

**რვეულები**

საუკეთესო ღირსებისა და განსხვავებული ფერის (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავად ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე